პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---დეკემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, აზეულას ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, გაგრძელდეს აზეულას ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


476672.40688, 4610454.04538

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

19/032326952-03

ირაკლი ციბაძე და სხვები
პ.ნ. 01008018688
მის: ქ. თბილისი, ვ. კოტეტიშვილის ქ.ნ 13 სართული II
მობ: 599993103
ელ.ფოსტა : ertsitetritsqaro@gmail.com

განცხადება

წინამდებარე განცხადებით მოგმართავთ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის (გეოგრაფიული ერთეული) სოფელ ერტისის მიწათმესაკუთრეები, დაბა კოჯრის მიმდებარედ ჩვენი დასახლებისათვის ერთადერთი საავტომობილო გზისთვის (**დანართი #1)** სახელის მინიჭების თაობაზე.

გაცნობენთ, რომ ზემოთხსენებული ტერიტორია წარმოადგენს დასახლებულ პუნქტს და აღნიშნულის გათვალისწინებით, ქუჩის სახელის არქონა მნიშვნელოვნად აფერხებს მაცხოვრებელთათვის და ასევე მიწათმესაკუთრეთათვის, სხვადასხვა სახის მომსახურების მიღებას, მათ შორის სასწრაფო დახმარების დროულად მიღების პროცესს.

მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად, სახელი მიანიჭოთ წინამდებარე განცხადებაზე თანდართულ ორთო ფოტოზე ასახულ საავტომობილო გზის ნაწილს, რომელიც მდებარეობს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრამდე, ხოლო ადმინისტრაციული საზღვრის შემდგომ დარჩენილ გზის ნაწილზე სახელდების პროცედურას ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო და დღეის მდგომარეობით ეწოდება მე-15 ქ. (**დანართი #2**).

ნებისმიერი ინფორმაციის დაზუსტების მიზნით გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

მიწათმესაკუთრეთა ხელმოწერები:

ირაკლი ციბაძე (01008018688) ს.კ. 84.05.38.000.296

ოთარ მხეიძე (01008033723) ს.კ. 84.05.38.000.295

აბესალომ ჯაფარიძე (0103003762) ს.კ. 84.05.38.000.181

თეა მაჩაიძე (01010007462) მიდობილი პირი
ივანე ჭიტაშვილი (01029004984) 84.05.38.000.014

ნინო ბერიძე (01024022553) 84.05.38.027.058

გივი ზირაქიშვილი (01012006699) 84.05.38.027.076

ნია პატარიძე (01007005163) 84.05.38.027.064

ვლადინერ სირძე (01030017658) 84.05.38.027.068

გია ახმეტელი (01030005879) 84.05.38.027.065

ირაკლი ჩიტიშვილის მინდობილი პირი
ნოდარ ჩიტიშვილი (01030045434) 84.05.38.000.030

პატივისცემით,
ირაკლი ციბაძე

24.09.23


აზეულას ქ.
ადმინისტრაციული საზღვარი
სახელდების გარეშე არსებული გზის მონაკვეთი (თბილისი)
სოფ. ერტისი მე-15 ქ. (თეთრიწყარო)
ქ. თბილისი
01.24.18.000.003
01.24.18.000.003
01.07.38.001.603
NAPR
NAPR
NAPR
1.109.001
1.01.04.058
200.54.54561
200.54.54561
200.54.54561
1.54362
1.54362

ДАНАРТИ №1

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A
TETRITSKARO MUNICIPALITY CITY COUNCIL

წერილის ნომერი: **125-125231286**
თარიღი: **08/05/2023**

ადრესატი: ირაკლი ციბაძე
პირადი ნომერი: 01008018688
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩა, N 13

მოქ. ირაკლი ციბაძეს
(მცხ. ქ. თბილისი, ვ.კოტეტიშვილის ქ. N 13)

ბატონო ირაკლი,
თქვენი, 2023 წლის 13 მარტის წერილობითი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. შენიშვნების დოკუმენტი გადაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურს, რომელმაც გაითვალისწინა ჩვენი წინადადებები და სოფელ ერტისის დამისამართების პირობით რუქაში ასახული იქნა ე.წ. „ზემო ერტისის" დასახლება.
ქუჩისათვის სახელის მინიჭება განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სოფ. ერტისის ქუჩების სახელდებასთან ერთად.

პატივისცემით,

გოჩა თედორაძე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032335967**
თარიღი: **25/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ირაკლი ციბაძის 2023 წლის 26 სექტემბრის საქმე #19/032326952-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია დაბა კოჯორში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ აზეულას ქუჩის გაგრძელების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 13 (ცამეტი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი